

# საკანონმდებლო მაცნა

საკონტროლო-სალარო აპარატები

გვერდი 1

აზარტული თამაშებიდან შემოსავლები

გვერდი 2

ორმაგი დაბეგვრა

გვერდი 3

## ცვლილება ბრძანებაში

საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან გათავისუფლება

2021 წლის 28 დეკემბერს გამოიცა საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე. ცვლილება შეეხო სსკ-ის 309-ე გარდამავალი დებულებების მუხლს. ცვლილების შედეგად 2023 წლის 1 იანვრამდე გადავადდა საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულება იმ ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან. აღნიშნული გადავადება არ ეხება ფიზიკურ პირს, რომელსაც მინიჭებული აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი ან რომელიც დარეგისტრირებულია ან ვალდებულია დარეგისტრირდეს დღგ-ის გამამხდელად საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

2023 წლის 1 იანვრამდე გადავადდა ასევე შემდეგი ვალდებულებები შემდეგი პირებისთვის:

- ▶ ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილების საკონტროლო-სალარო აპარატებით უზრუნველყოფის ვალდებულება იმ პირებისთვის, რომლებიც ბაზრის ორგანიზებას 2018 წლის 1 იანვრამდე ეწეოდნენ (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ორგანიზებისა)
- ▶ ბაზრობის ორგანიზატორი პირებისგან საგადასახადო ორგანოსთვის ბაზრობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
- ▶ ბაზრობის ორგანიზატორი პირებისთვის სავაჭრო ობიექტის იჯარით მხოლოდ იმ პირზე გადაცემის ვალდებულება, რომელიც მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრშია რეგისტრირებული.

## შინაარსი

- ▶ საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან გათავისუფლება
- ▶ დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული უძრავი ქონების მიწოდება
- ▶ აზარტული თამაშობებიდან მიღებული შემოსავალი
- ▶ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შედეგადად სარგებლობა

2022 წლის 1 იანვრის ნაცვლად 2023 წლის 1 იანვარს ამოქმედდება ასევე სსკ-ის 290<sup>2</sup> მუხლის მოქმედება, რომელიც განსაზღვრავს ბაზრის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში გათვალისწინებულ სანქციებს.

ცვლილება ძალაშია 2021 წლის 29 დეკემბრიდან.

**დღგ-სგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული უძრავი ქონების მიწოდება**

ცვლილებით საგადასახადო 2021 წლის 17 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება შეეხოს სსკ-ის 309-ე მუხლი და მისი დებულებების მუხლს. აღნიშნული ცვლილებით დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით თავისუფლდება 2008 წლის 8 აგვისტოსთვის ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებული უძრავი ქონების მიწოდება, აგრეთვე უძრავი ქონების მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ ქონებასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების განწევა იმ შემთხვევაშიც, თუ ობიექტზე 2008 წლის 8 აგვისტოს შემდგომ პერიოდში შეიცვალა საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) ან განხორციელდა არსებული შენობის დემონტაჟი და გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა.

ცვლილება ძალაშია 2021 წლის 18 დეკემბრიდან.

**აზარტული თამაშობებიდან მიღებული შემოსავალი**

2021 წლის 28 დეკემბერს გამოიცა საქართველოს კანონი, რომლითაც ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში. ცვლილების შედეგად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტებს (მუხლი 80) დაემატა ორი ახალი ობიექტი:

1. ფიზიკური პირის მიერ აზარტული თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებული შემოსავალი. კონკრეტულად კი, აზარტული თამაშობების მომწოდებელი ფიზიკური პირის მიერ მოთამაშებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშებებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა დაექვემდებარა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას. დასაბეგრი შემოსავლის განაკვეთი განისაზღვრა 10%-ის ოდენობით, ხოლო საშემოსავლო დეკლარაციის წარდგენის ვადა განისაზღვრა არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

2. სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული თამაშობების მონაწილე პირების მიერ სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა. ამ შემთხვევაში, საგადასახადო აგენტის ფუნქცია ეკისრება აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მომწოდებელს შორის (154-ე მუხლი, პირველი ნაწილი, „ე“ ქვეპუნქტი).

ცვლილებით მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი ობიექტი გაჩნდა აზარტული თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწოდებელი იურიდიული პირებისთვის, კერძოდ მოგებით დაბეგვრის ობიექტია მოთამაშებისგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშებებზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა.

მოგების თანხის ინდენტიფიცირებისთვის მიჩნეული იქნება, რომ პირის მიერ დივიდენდის გაცემისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა. ამ ფორმით მიღებული მოგების დასაბეგრი განაკვეთი განისაზღვრა 10%-ით, ხოლო საანგარიშო პერიოდად - კალენდარული თვე.

ასევე განიმარტა, რომ 2022 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან გაცემული დივიდენდი მიიჩნევა მოგების განაწილებად და დაიბეგრება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესით, კერძოდ 0.85-ზე გაყოფის შედეგად მიღებული ოდენობიდან.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან.

## ცვლილება ბრძანებაში

### ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შედეგადად სარგებლობა

2021 წლის 7 დეკემბერს გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №323 ბრძანება, რომლის მიხედვითაც ცვლილება შევიდა ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №633 ბრძანებაში „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებით განსაზღვრული საგადასახადო შედეგებით სარგებლობისა და არარეზიდენტისათვის საქართველოში გადახდილი გადასახადის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნულ ბრძანებას დაემატა 11 მუხლი, რომლითაც განიმარტა შემოსავლის ბენეფიციური მფლობელის ცნება, რომლის მიხედვითაც შემოსავლის მიმღები არის ამ შემოსავლის ბენეფიციური მფლობელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია სრული უფლებები შესაბამისი შემოსავლის გამოყენებასთან, სარგებლობასა და განკარგვასთან დაკავშირებით და იგი არ იზღუდება ისეთი სახელშეკრულებო ან კანონისმიერი ვალდებულებით, რომელიც გულისხმობს მიღებული შემოსავლის სხვა პირისათვის გადაცემას.

აღნიშნული მუხლი ვრცელდება დივიდენდზე, პროცენტსა და როიალტიზე და გამოიყენება იმ ნაწილში, რომლითაც იგი შეესაბამება კონკრეტული საერთაშორისო შეთანხმების დებულებებს.

ცვლილება ძალაშია 2021 წლის 8 დეკემბრიდან.

## ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მოიცავს ინფორმაციას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების, დღგ-ის განათავისუფლებული უძრავი ქონების, აზარტული თამაშებიდან მიღებული შემოსავლების და სხვა ცვლილებების შესახებ. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად.

**მარიამ ხუსკივაძე**

mkhuskivadze@bdo.ge

**მინიკილ ენუქიძე**

menukidze@bdo.ge

▶ ნაიკითხეთ მეტი [www.bdo.ge](http://www.bdo.ge)

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით სუბიექტური ინტერპრეტაციით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.



---

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შებენიერი კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.